

## საერთო ნასესხები ლექსიკა ქართველურ და ჩერქეზულ ენებში. V

ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
vazhashengelia@gmail.com

[cirunaja@gmail.com](mailto:cirunaja@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.51>

ქუთაისის საერთაშორისო კონფერენციაზე „ენა და კულტურა“ წინა წლებში წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება, რომლებშიც განვიხილეთ ქართველური ენების მიერ ძირითადად აღმოსავლურ ენათაგან ნასესხები 80-ზე მეტი ლექსიკური ერთეული, რომლებიც, ამავე დროს, უსესხებია ჩერქეზულ ენებსაც. ამჟამად შევვებით კიდევ 19 სიტყვას.

### 1. ქართ. **დინჯი**

ამ სიტყვას თურქულიდან ნასესხებად მიიჩნევს ბ. გიგინეიშვილი [გიგინეიშვილი 2024: 127]. ეგვევ სიტყვა უსესხებია ჩერქეზულ ენებსაც და სათანადო ფონეტიკური ცვლი-ლებებით დაუმკვიდრებია: ადილ. თენჩ, ყაბ. თენშ; ყაბარდოულში მომხდარა ბოლოკი-დური ჩ-ს დეზაფრიკატიზაცია. ყურადღებას იქცევს ქართულის ფონეტიკური სახე, კერძოდ, თავკიდური დ თურქული თ-ს ნაცვლად, რაც უნდა იყოს შედეგი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციისა (\*თინჯი > დინჯი).

2. ქართ. **მინარეთი** არაბულიდან უნდა იყოს შემოსული. ადიღური მინარ საანალიზო სიტყვის ერთგვარი, რედუცირებული ფორმაა.

3. ქართ. (ბარბ.) **ბანკა**, მეგრ. ბანკა, ადილ. და ყაბ. ბანკ „ქილა“ რუსულიდან ჩანს შემოსული.

4. ქართ. (ბარბ.) **სტაქანი**, მეგრ. სტაქანი, ადილ. და ყაბ. სტჩან რუსულიდან არის შე-თვისებული. ყურადღებას იქცევს რუსული კ-ს აფრიკატიზაცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფრიკატიზაციის პროცესი ახლო წარსულშიც მოქმედი იყო. სიტყვა თურქული წარმომავლობისა უნდა იყოს [ფასმერი 1987: 743].

5. ქართ. **მინა** „ნადმი“, ყაზ. მინ შემოსულია ქართულსა და ყაზარდოულში რუსულის გზით.
6. ქართ. **ქეიფი** „ლხინი“ არაბული ნასესხობაა [ქეგლ 1962: 284]; ჩფ „მთვრალი“ ყაზარდოულში შეიძლება თურქულის გზით იყოს დამკვიდრებული.
7. ქართ. **პალტო**, ადილ. ფლ', ყაზ. ბლ'თო სიტყვა რუსულიდან უნდა იყოს ნასესხები, რუსულს კი ფრანგულიდან უსესხებია [ფასმერი 1987: 194].
8. ქართ. **აშიკი** || **არშიყი** არაბული ნასესხობაა (გიგინეიშვილი 2024: 29).  
ადილეურსა და ყაზარდოულში ეს სიტყვა შესაძლებელია თურქულის გზით იყოს შემოსული: ადილ. აშგჯ, ყაზ. აგჯ (ადილ. შ : ყაზ. ).
9. ქართ. **გიაური** თურქულ ნასესხობად არის მიჩნეული [ქეგლ 1951: 1451]. ფონეტი-კურად სეხეცვლილი სახით ეს ლექსიკური ერთეული გვხვდება ადილეურ და ყაზარდო-ულ ენებშიც – ჯგრ. სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ამოსავალ გ-ს ჯ მოუცია.
10. ქართ. **ნაღარა**-სა და ჩერქეზულ ენათა ნაჯგრა („სასულე ინსტრუმენტი“) სიტყვე-ბისათვის ამოსავალი შეიძლება იყოს არაბულ-სპარსული ფორმა, ქართული სიტყვის ასეთ წარმოშობაზე მიუთითებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ქეგლ 1958: 1396).
11. ლაზ. **ჯენეთი „სამოთხე“**, ადილ. ჯნთ, ყაზ. ჟნთ, როგორც ჩანს, არაბული ნა-სესხობაა, თურქულის გზით შემოსული. ყაზარდოულში თავკიდური ჯ-ს სპირანტიზა-ცია მომხდარა: \*ჯ > ჟ.
12. ქართ. **მესტი** „მოკლეყელიანი მემის ფეხსაცმელი“  
ადილეურში გვაქვს მდსთ „მოკლეყელიანი ფეხსაცმელი ტარსიკონისაგან“. ქარ-თულშიც და ადილეურშიც თურქულიდან არის ნასესხები.
13. ქართ. (ბარბ.) **სალფეტკი** „ხელსახოცი“, ადილ. სალჟდტკ რუსულიდანაა.
14. ქართ. **ტიფი**, მეგრ. ტიფა, ადილ. და ყაზ. ტიჟ 3 გერმანულიდან უნდა იყოს შემოსული რუსულის გზით.
15. ქართ. არამი „რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეერგება“ არაბული ნასესხობაა [ქეგლ 1950: 541]; ადილეურში გვაქვს ჰარამ „მუსლიმანური რელიგიით აკრძალული“, ყაზარდოულში – ჰრმ. ჩერქეზულ ენებს არაბულის თავკიდური თანხმოდანი შეუნარჩუნებია, ქართულს დაუკარგავს.
16. ქართ. **გაზი**, ადილ. ლ'აზ ადილეურში რუსული მართლწერით გვხვდება (газ), მაგრამ ზეპირ მეტყველებაში სიტყვის თავში ლ' წარმოითქმის (ლ'აზ).
17. ქართ.-ქართვ. ჩაი, ადილ. და ყაზ. შაჲ სიტყვა ჩინური წარმომავლობისაა [ქეგლ 1964: 92].
18. ქართ. ქინაქინა, მეგრ. ხინა, ადილ. და ყაზ. ხინ სიტყვა პერუს ინდიელთა ენიდანაა [ქეგლ 1962: 326].
19. ქართ. ჩემოდანი, მეგრ. ჩამადანი, ლაზ. ჯამადი, ადილ. ჩმდან, ყაზ შუმდან.

წარმოშობით სპარსულია [ქეგლ 1964: 488]. წარმოშობით ირანულ სიტყვად მიიჩნევა მ. ფასმერიც [ფასმერი 1987ა: 332].

#### ლიტერატურა:

**გიგინეიშვილი 2024** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ფასმერი 1987** – М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. III, Москва.

**ფასმერი 1987ა** – М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. IV, Москва.

**ქეგლ 1950** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I, თბილისი.

**ქეგლ 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბილისი.

**ქეგლ 1962** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VII, თბილისი.

**ქეგლ 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**Vaza Shengelia, Tsira Janjghava**

Tsu, Arn. Chikobava Linguistic Institute

Tbilisi, Georgia

vazhashengelia@gmail.com

[cirunaja@gmail.com](mailto:cirunaja@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.51>

## Common Borrowed Vocabulary in Kartvelian and Chercassian Languages

### Abstract

Common borrowed vocabulary in Kartvelian and Chercassian languages was the subject of our report at the VI and VII International Conference held in Kutaisi, where 25 lexical units were discussed. This time we will discuss another 19 units of different semantic groups that have assimilated these languages from Eastern or Western languages.

There are analysed the words in Kartvelian languages, such as დინჯი (dinji), მინარეთი (minareti), ბანკა (banka), სტაქანი (staqani), მინა (mina), ქეიფი (keipi), პალტო (palto), აშიკი (ashiki), გიაური (giauri), ნაღარა (naghara), ჯენეთი (jeneti), მესტი (mesti),

სალფეტკი (salpetki), ტიფი (tipi), არამი (arami), გაზი (gazi), ჩაი (Chai), ქინაქინა (qinaqina) , ჩემოდანი (chemodani). This words also are in Chercassian languages too.

**Keywords:** Kartvelian languages, Chercassian languages, borrowed lexical units